ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის დასახელება: ფინანსები და საბანკო საქმე

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოსოფიის დოქტორი ფინანსებსა და საბანკო საქმეში

Ph.D in Finance and Banking

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი : სრული პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის დახასიათება

- **<u>მიზანი</u>**

პროგრამის მიზანია დოქტორანტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის, ინვესტიციების ორგანიზაცია-დაფინანსების, ფინანსური მენეჯმენტის, საგადასახადო და საბაჟო სისტემის, ფინანსებისა და კრედიტის, საბანკო საქმის, დაზღვევის საფუძვლების, საფინანსო სამართლის, საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობების ღრმა ანალიზის და სწორი შეფასების უნარის გამომუშავება; ეკონომიკური მოვლენების დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე ობიექტური კონცეფციის ჩამოყალიბება, აგრეთვე, აღნიშნული მიმართულებით სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლება.

- **<u>შედეგი</u>**

დარგობრივი კვალიფიკაცია - „ფინანსები და საბანკო საქმის“ სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება კვალიფიკაცია – ფილოსოფიის დოქტორი ფინანსებსა და საბანკო საქმეში. „ფინანსები და საბანკო საქმის“ მაგისტრისაგან განსხვავებით, დოქტორები ფინანსებსა და საბანკო საქმეში მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალი მენეჯერები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და გაავრცელონ ისინი პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

ცოდნა - ფილოსოფიის დოქტორს ფინანსებსა და საბანკო საქმეში მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება. ფილოსოფიის დოქტორმა ფინანსებსა და საბანკო საქმეში უნდა იცოდეს:

- მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;
- სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- საერთო ეკონომიკური ციკლის დისციპლინები: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ეკონომეტრიკა, ეკონომიკური სტატისტიკა, ბუღალტრული აღრიცხვა, რომელთა ცოდნა საშუალებას აძლევს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მოახდინოს პროგნოზირება.

კომპეტენცია და უნარ-ჩვევები – ფილოსოფიის დოქტორის ფინანსებსა და საბანკო საქმეში კვალიფიკაცია განისაზღვრება მისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით.

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს: თავის საქმიანობაში გამოიყენოს კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები; მეცნიერულ კვლევებში ფართოდ გამოიყენოს ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები; მეცნიერული კვლევის ჩატარება საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სფეროში; ასწავლოს ფინანსები და საბანკო საქმე სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს:

- უნდა გააჩნდეთ დარგის (დისციპლინის) სისტემური ცოდნა;
- უნდა გააჩნდეთ კვლევის პროცესის გააზრების, დაგეგმვის, განხორციელების და ადაპტირების მეცნიერული ერთიანობის უნარი;
- ორიგინალური კვლევების მეშვეობით შეაქვთ თავიანთი წვლილი დარგის განვითარებაში, რომელიც აფართოებს ცოდნის საზღვრებს და აისახება ეროვნულ ან საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- შეეძლებათ ახალი და კომპლექსური იდეების კრიტიკული ანალიზი, შეფასება და სინთეზი;

- შეეძლებათ კომუნიკაცია თავის კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან თავიანთ სფეროში.

- <u>დასაქმების</u> <u>სფეროები</u>

„ფინანსებისა და საბანკო საქმის" სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით, ასევე ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებსა და მათ სტრუქტურებში, ეროვნულ ბანკში, კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და საკრედიტო კავშირებში, სადაზღვევო, სალიზინგო და საშუამავლო კომპანიებში, ბირჟებში, საინვესტიციო ფონდებში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და კერძო კომპანიებში კონსულტანტებად, ექსპერტებად და მენეჯერებად.

- <u>სადოქტორო პროგრამაზე მიღების სავარაუდო წინაპირობები</u>

ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაზე „ფინანსები და საბანკო საქმე" ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (თსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 მაისის დადგენილება №23). მას უნდა გააჩნდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკანდიდატო მინიმუმის საგნები ან გავლილი უნდა ჰქონდეს აპრობაცია.

<u>განსაკუთრებული პირობები</u>

ინდივიდუალური პროგრამით ჩარიცხულმა დოქტორანტმა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს დისერტაცია არსებული დებულების შესაბამისად. ტექნიკური მოთხოვნები გამომდინარეობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან. დისერტაციის

დაცვამდე დოქტორანტს დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ორს გავლილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ექსპერტიზა. სტატიებს შეაფასებენ ექსპერტები საერთაშორისო კრიტერიუმებით. ქულების მაქსიმალური რაოდენობაა 20. სტატიებზე უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში (11–15 ქულა) დოქტორანტს ეძლევა სამი თვე სტატიის გადასამუშავებლად, ხოლო 11-ზე ნაკლები ქულის შემთხვევაში – ექვსი თვე.